



ევროკავშირი
საქართველოსთვის



giz
Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH

CZECH
AID

M
P X C
G
Delivering Progress

II

(ინფორმაცია)

**ინფორმაცია ევროკავშირის
ინსტიტუტებიდან, უფლებამოსილი
ორგანოებიდან, ოფისებიდან და
სააგენტოებიდან**

ევროპის კომისია

კომისიის შეტყობინება “ლურჯი
სახელმძღვანელო” პროდუქტთან
დაკავშირებით ევროპის კომისიის
წესების განხორციელების შესახებ

2022



ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირისა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, პროექტ QUIS-ის დაკვეთით. მის შინაარსზე და თარგმანის შესაბამისობაზე პასუხისმგებელია PMCG, და შესაძლოა, იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს შეხედულებებს.

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს „ევროკავშირის პროდუქტის წესების განხორციელების შესახებ ლურჯი სახელმძღვანელო - 2022“-ის მოკლე მიმოხილვას, რომელიც ადაპტირებულია იმ აუდიტორიისთვის, რომლის ძირითად ნაწილსაც შეადგენენ შესაბამისობის შემფასებელი ორგანოები (CAB) და მწარმოებლები. დოკუმენტი მოიცავს ევროკავშირის პროდუქტის კანონმდებლობის ძირითად ასპექტებს — მისი ისტორიული განვითარებიდან სხვადასხვა ეკონომიკური ოპერატორის როლების, პროდუქტებთან დაკავშირებული მოთხოვნების, შესაბამისობის შეფასებისა და ბაზრის ზედამხედველობის ჩათვლით. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია იმ პროცესებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია მწარმოებლებისა და შესაბამისობის შემფასებელი ორგანოებისთვის (CAB).

საქონლის თავისუფალი გადაადგილების რეგულირება¹

„ლურჯი სახელმძღვანელო“ წარმოადგენს ძირითად საინფორმაციო დოკუმენტს „ახალ საკანონმდებლო ჩარჩოზე“ (NLF) დაფუძნებული კანონმდებლობის განხორციელებისა და ევროკავშირში ბაზრის ზედამხედველობის სისტემის გაგებისთვის. მისი მიზანია უზრუნველყოს პროდუქტთან დაკავშირებული ევროკავშირის წესების თანმიმდევრული და ერთგვაროვანი გამოყენება სხვადასხვა სექტორში და ერთიან ბაზარზე. სახელმძღვანელოს აქვს მხოლოდ განმარტებითი ხასიათი, იურიდიულ ძალას მხოლოდ კავშირის ჰარმონიზაციის აქტების ტექსტები ფლობენ. მათი მოქმედება ვრცელდება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებზე, ისლანდიაზე, ლიხტენშტაინსა და ნორვეგიაზე (EEA EFTA სახელმწიფოები), ხოლო გარკვეულ შემთხვევებში — შვეიცარიასა და თურქეთზე.

ისტორიული პერსპექტივა

თავდაპირველად, ევროკავშირის ჰარმონიზაციის დირექტივები მიზნად ისახავდა სავაჭრო ბარიერების შემცირებას და საქონლის თავისუფალი მიმოქცევის უზრუნველყოფას. შემდგომში ეს გადაიზარდა კომპლექსურ პოლიტიკაში, რომელიც ორიენტირებულია ბაზარზე მხოლოდ უსაფრთხო და შესაბამისი პროდუქტების დაშვებაზე, სამართლიანი კონკურენციის ხელშეწყობაზე, მომხმარებლებისა და პროფესიონალ მომხმარებელთა დაცვასა და ერთიანი ევროპული ბაზრის კონკურენტუნარიანობის გაძლიერებაზე.

ევროკავშირის საქონლის კანონმდებლობა ისტორიულად ხუთ ძირითად ეტაპად ჩამოყალიბდა:

- **„ძველი მიდგომა“** — ხასიათდებოდა დეტალური კანონმდებლობით, რომელიც მოიცავდა ფართო ტექნიკურ და ადმინისტრაციულ მოთხოვნებს. აღნიშნული მიდგომა ხშირად არაეფექტიანად ითვლებოდა, ვინაიდან მისი მიღება ერთსულოვან თანხმობას მოითხოვდა. 83/189/EEC (ამჟამად დირექტივა (EU) 2015/1535) დირექტივა აწესებს ინფორმირების პროცედურას ახალი ტექნიკური ბარიერების თავიდან ასაცილებლად, რომელიც ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს წინასწარ შეატყობინონ ეროვნული ტექნიკური რეგულაციების პროექტები.
- **ურთიერთაღიარება (Mutual Recognition)** — ჩამოყალიბდა საკანონმდებლო ინიციატივებთან ერთად. პრინციპი, რომელიც დაფუძნებულია TFEU-ის 34-ე–36-ე მუხლებზე და „Cassis de Dijon“-ის საქმეზე, ითვალისწინებს, რომ პროდუქტი, რომელიც კანონიერად არის გაყიდვაში ერთ წევრ სახელმწიფოში, შეიძლება თავისუფლად გავიდეს სხვა სახელმწიფოს ბაზარზე, თუ შეზღუდვები არ არის გამართლებული და პროპორციული. (EU) 2019/515 რეგულაცია ამ პროცესს ამსუბუქებს ურთიერთაღიარების დეკლარაციის, პრობლემების გადაჭრის მექანიზმის (SOLVIT), ადმინისტრაციული თანამშრომლობის გაძლიერებისა და „პროდუქტის საკონტაქტო პუნქტების“ მეშვეობით.
- **„ახალი მიდგომა“ და „გლობალური მიდგომა“** — 1985 წელს შემუშავებული „ახალი მიდგომა“ აკანონებს მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესისათვის აუცილებელ „საბაზისო მოთხოვნებს“, ხოლო ტექნიკურ დეტალებს ანდობს ევროპულ ჰარმონიზებულ სტანდარტებს. პროდუქტები, რომლებიც შეესაბამებიან ამ სტანდარტებს, სარგებლობენ

1 დეტალური ინფორმაცია იხილეთ დოკუმენტის - 'ლურჯი სახელმძღვანელო' - პირველ თავში

აღნიშნულ საბაზისო მოთხოვნებთან შესაბამისობის პრეზუმფციით. სტანდარტების გამოყენება ნებაყოფლობითია, რაც მწარმოებლებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ სხვა ტექნიკური სპეციფიკაციებიც, იმ პირობით, რომ შეძლებენ შესაბამისობის დადასტურებას. 1989–1990 წლებში შემუშავებულმა „გლობალურმა მიდგომა“-მ შესაბამისობის შეფასებისთვის შემოიტანა საერთო ინსტრუმენტები, მათ შორის კონსოლიდირებული პროცედურები (მოდულები) და მათი შერჩევის წესები.

- **„ახალი საკანონმდებლო ჩარჩო“ (NLF) —** 2008 წელს მიღებული ახალი საკანონმდებლო ჩარჩო ეფუძნება „ახალ მიდგომას“ და ქმნის ყოვლისმომცველ ჩარჩოს შესაბამისობის ეფექტიანი შეფასების, აკრედიტაციისა და ბაზრის ზედამხედველობისთვის, მათ შორის ევროკავშირის გარედან შემოსული პროდუქტების კონტროლისთვის. აქცენტი „ბაზარზე განთავსებიდან“ გადატანილია „პროდუქტის ხელმისაწვდომობაზე“, რაც ხელს უწყობს სტანდარტებთან შეუსაბამო პროდუქტების მიკვლევადას.
- **2019 წლის მოდერნიზაცია —** მიღებულია (EU) 2019/1020 რეგულაცია ბაზრის ზედამხედველობისა და პროდუქტების შესაბამისობის შესახებ (რომელმაც შეცვალა (EC) No 765/2008 რეგულაციის ბაზრის ზედამხედველობის დებულებები) და (EU) 2019/515 რეგულაცია ურთიერთალიარების შესახებ. 2019/1020 რეგულაციამ გააძლიერა ბაზარზე ზედამხედველობა, უზრუნველყო ეფექტიანი ინსტრუმენტები ონლაინ გაყიდვებისთვის და გააძლიერა თანამშრომლობა წევრ სახელმწიფოებსა და საბაჟო ორგანოებს შორის.

„ხარისხის ჯაჭვი“

ახალი საკანონმდებლო ჩარჩო ქმნის ინტეგრირებულ სისტემას, რომლის ფარგლებშიც კანონმდებლობა განსაზღვრავს საზოგადოებრივი ინტერესის მიზნებს, საბაზისო უსაფრთხოების მოთხოვნებს, ეკონომიკური ოპერატორების ვალდებულებებს, მესამე მხარის შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების კომპეტენციის დონეს, მათი კონტროლის მექანიზმებს (შეტყობინება და აკრედიტაცია), შესაბამისობის შეფასების მოდულებს და ბაზრის ზედამხედველობის ინსტრუმენტებს. ეს ელემენტები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული: ერთ-ერთში არსებული სისუსტე მთლიან „ხარისხის ჯაჭვს“ უქმნის საფრთხეს.

პროდუქტის უსაფრთხოების ზოგადი დირექტივა (GPSD)

2001/95/EC (GPSD) დირექტივა მოქმედებს როგორც უსაფრთხოების ზოგადი ბადა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ყველა არასასურსათო სამომხმარებლო პროდუქტი ევროკავშირში იყოს უსაფრთხო, მაშინაც კი, თუ იგი კონკრეტული ჰარმონიზაციის კანონმდებლობით არ არის მოცული. იგი ავალდებულებს მწარმოებლებს ბაზარზე განათავსონ მხოლოდ უსაფრთხო პროდუქტია და ითვალისწინებს ზედამხედველობის მექანიზმებს. GPSD-ის საფუძველზე შექმნილი სწრაფი გაფრთხილების სისტემა (RAPEX) უზრუნველყოფს სახიფათო პროდუქტებზე ინფორმაციის დროულ გაცვლას და ბაზრიდან მათ სწრაფ ამოღებას. შემოთავაზებულია ახალი რეგულაცია პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების შესახებ, რომელიც ჩაანაცვლებს GPSD-ს.

პროდუქტის ხარისხზე პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა

85/374/EEC დირექტივა აწესებს მკაცრ პასუხისმგებლობას (პასუხისმგებლობას დანაშაულის არსებობის გარეშე) მწარმოებლებისთვის იმ შემთხვევებში, თუ დეფექტური პროდუქტი იწვევს ფიზიკურ ან მატერიალურ ზიანს. ეს ქმნის მნიშვნელოვან სტიმულს უსაფრთხოების კანონმდებლობის დაცვისათვის და უზრუნველყოფს იურიდიულ განსაზღვრულობას, რაც ავსებს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობის წესებს.

რაზე ვრცელდება კავშირის ჰარმონიზებული პროდუქტის კანონმდებლობა?²

წინამდებარე სახელმძღვანელო ძირითადად ეხება არა საკვებ და არა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, რომლებიც განიხილება როგორც სამრეწველო პროდუქტები სამომხმარებლო ან პროფესიული გამოყენებისთვის. იგი განმარტავს NLF-ის ძირითადი კონცეფციებს და ბაზრის ზედამხედველობის ზოგად პრინციპებს (EU) 2019/1020 რეგულაციის შესაბამისად.

პროდუქტების სპექტრი

ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობა ვრცელდება დასრულებულ პროდუქტებზე, როგორც ეს განსაზღვრულია თითოეულ კონკრეტულ აქტში. მასში შეიძლება შედიოდეს კომპონენტები, სათადარიგო ნაწილები ან ქვედანაყოფები, თუ ისინი განიხილება როგორც დასრულებული პროდუქტი კანონმდებლობის ფარგლებში. მწარმოებელი პასუხისმგებელია შეამოწმოს, ექვემდებარება თუ არა პროდუქტი კონკრეტული საკანონმდებლო აქტის მოქმედების სფეროს. როდესაც დასრულებულ პროდუქტში შედის სხვა პროდუქტი, დასრულებული პროდუქტის მწარმოებელი პასუხისმგებელია მთლიან შესაბამისობაზე.

მოდულიზირებული პროდუქტები

პროდუქტი, რომელიც მნიშვნელოვნად შეიცვალა ან კაპიტალურად გადამუშავდა ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, ითვლება ახალ პროდუქტად, თუ შეიცვალა მისი თავდაპირველი მახასიათებლები, დანიშნულება ან ტიპი (საწყისი რისკის შეფასების მიღმა), შეიცვალა საფრთხის ბუნება ან გაზრდილია რისკი, და იგი კვლავ ჩაეშვება გამოყენებაში. ასეთ შემთხვევებში, ცვლილების განმახორციელებელი პირი ხდება მწარმოებელი და ვალდებულია შეასრულოს ყველა შესაბამისი მოთხოვნა, მათ შორის შესაბამისობის შეფასების სრული პროცედურა, ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება, EU შესაბამისობის დეკლარაციის გაფორმება და CE ნიშანდების დატანა. სარემონტო სამუშაოები, რომელიც არ იწვევს მნიშვნელოვან მოდიფიკაციას, ზოგადად, არ მოითხოვს ხელახალ შეფასებას. პროგრამული განახლებები ფიზიკური ცვლილებების ანალოგიურად განიხილება; ისინი იწვევს პროდუქტის „ახალ პროდუქტად“ კლასიფიკაციას, თუ ცვლიან საწყის ფუნქციებს, ტიპს ან მახასიათებლებს, ან ზრდიან რისკს, და ამის შემდგომ პროდუქტი კვლავ ხდება ხელმისაწვდომი ან ჩაშვებული იქნება ექსპლუატაციაში.

ბაზარზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

პროდუქტი ითვლება ბაზარზე ხელმისაწვდომად, როდესაც იგი მიეწოდება დისტრიბუციისთვის, მოხმარებისთვის ან ევროკავშირის ბაზარზე გამოყენებისთვის კომერციული საქმიანობის ფარგლებში, საბაზრის სანაცვლოდ ან უფასოდ. ეს კონცეფცია ეხება თითოეულ ინდივიდუალურ პროდუქტს. მიწოდება ითვლება „ბაზარზე განთავსებად“ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პროდუქტი განკუთვნილია საბოლოო გამოყენებისთვის ევროკავშირის ბაზარზე. ეს კონცეფცია უმნიშვნელოვანესია, რადგან მიწოდების ჯაჭვის ყველა ეკონომიკურ ოპერატორს აქვს მიკვლევადობის ვალდებულებები, რათა უზრუნველყოს შესაბამისი პროდუქტების ცირკულაცია.

ბაზარზე განთავსება

ბაზარზე განთავსება წარმოადგენს ევროკავშირის ჰარმონიზებული პროდუქტის კანონმდებლობის გამოყენების ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს და განისაზღვრება როგორც პროდუქტის პირველი ხელმისაწვდომობა ევროკავშირის ბაზარზე. პროდუქტები უნდა შეესაბამებოდეს იმ დროს მოქმედ იურიდიულ მოთხოვნებს. ეს ეხება როგორც ევროკავშირში წარმოებულ ახალ პროდუქტებს, ისე ყველა პროდუქტს (ახალს ან მეორადს), რომლებიც იმპორტირებულია მესამე ქვეყნებიდან. როგორც კი პროდუქტი ბაზარზე განთავსდება, შესაბამისი პროდუქტი ხელმისაწვდომი ხდება დამატებითი პირობების გარეშე, თუნდაც კანონმდებლობა ან ჰარმონიზებული სტანდარტები ამ პროდუქტის მიმართ შეიცვალოს მისი განთავსების შემდეგ [თუ ამ ცვლილებებით სხვა რამ პირდაპირ არ არის განსაზღვრული].

2 დეტალური ინფორმაცია იხილეთ დოკუმენტის - 'ლურჯი სახელმძღვანელო' - მეორე თავში

დისტანციური და ონლაინ გაყიდვები

გამოყენება	ჰარმონიზებული კანონმდებლობა ვრცელდება დისტანციურ და ელექტრონული საშუალებებით განხორციელებულ გაყიდვებზე.
ბაზარზე გამოტანა	პროდუქტები, რომლებიც ონლაინ არის შეთავაზებული, ბაზარზე გამოტანილად განიხილება, თუ შეთავაზება მიმართულია ევროკავშირის მომხმარებლებზე.

პროდუქტები, რომლებიც იყიდება ონლაინ ან სხვა დისტანციური გაყიდვების გზით, ითვლება ევროკავშირის ბაზარზე ხელმისაწვდომად, თუ შეთავაზება მიმართულია ევროკავშირის საბოლოო მომხმარებლებისკენ. ბაზრის ზედამხედველობის ორგანოებს აქვთ უფლება შეამოწმონ და მიიღონ ზომები ასეთი პროდუქტების მიმართ (EU) 2019/1020 რეგულაციის მიხედვით. CE ნიშანდების დატანა და საჭირო გაფრთხილებების არსებობა ვებ-გვერდებზე სასურველია შეძენამდე. EU-ს გარედან შემოტანილი პროდუქტების შემთხვევაში, საბოლოო მომხმარებლებისთვის EU-ში ფიზიკური მიწოდება წარმოადგენს საბოლოო დადასტურებას ბაზარზე განთავსების შესახებ.

ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან იმპორტირებული პროდუქტები

ევროკავშირის ჰარმონიზაციის კანონმდებლობა განსაზღვრავს სპეციალურ როლს იმპორტიორისთვის ევროკავშირის გარედან შემოტანილი პროდუქტების შემთხვევაში, რომლის ვალდებულებები მწარმოებლის ვალდებულებების მსგავსია. საბაჟოზე თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება არ წარმოადგენს შესაბამისობის მტკიცებულებას. პროდუქტებმა, რომლებსაც სჭირდებათ შემდგომი დამუშავება შესაბამისობისთვის, უნდა გაიარონ შესაბამისი საბაჟო პროცედურები მანამ, სანამ გამოცხადდება თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება. ევროკავშირის საზღვრებს გარედან შემოტანილი გარკვეული პროდუქტების ბაზარზე განთავსებისთვის სავალდებულოა არსებობდეს ევროკავშირში დამკვიდრებული ეკონომიკური ოპერატორი, როგორც ეს განსაზღვრულია (EU) 2019/1020 რეგულაციის მე-4 მუხლში.

ევროკავშირის ჰარმონიზაციის აქტების ერთდროული გამოყენება

ერთ პროდუქტზე ერთდროულად შეიძლება ვრცელდებოდეს ევროკავშირის ჰარმონიზაციის რამდენიმე აქტი, რადგან საბაზისო და სხვა მოთხოვნები შეიძლება გადაიკვეთოს ან ერთმანეთი შეავსოს. პროდუქტი უნდა შეესაბამებოდეს ყველა შესაბამის კანონმდებლობას იმ მომენტში, როდესაც იგი ბაზარზე განთავსდება ან ექსპლუატაციაში შევა. ევროკავშირის ზოგიერთი ჰარმონიზებული აქტი გამორიცხავს თავისი მოქმედების სფეროდან იმ პროდუქტებს, რომლებიც სხვა აქტებით რეგულირდება, ან მოიცავს სხვა აქტების საბაზისო მოთხოვნებს, რაც ერთდროულად ზედმეტი მოთხოვნების გამოყენებას თავიდან არიდების საშუალებაა.

გონივრულად პროგნოზირებადი და განზრახ გამოყენება / არასწორი გამოყენება

მწარმოებლები ვალდებული არიან უზრუნველყონ პროდუქტის დაცვის ისეთი დონე, რომელიც შეესაბამება პროდუქტის განსაზღვრულ გამოყენებას (მწარმოებლის მიერ განსაზღვრული ან ჩვეულებრივი დიზაინის მიხედვით) გონივრულად პროგნოზირებულ პირობებში. ეს მოითხოვს მწარმოებლისგან პოტენციური არასწორი გამოყენების გათვალისწინებას და რიგითი მომხმარებლების შესაძლო ქმედებების შეფასებას. ბაზრის ზედამხედველობის ორგანოები შესაბამისობას სწორედ ამ პრინციპების მიხედვით აფასებენ.

გეოგრაფიული გამოყენების არეალი

EEA EFTA ქვეყნები	ჰარმონიზებული კანონმდებლობა ვრცელდება ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და ევროპის ეკონომიკური ზონის (EEA) ხელმომწერებზე (ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია).
თურქეთი	იმ სექტორებში, სადაც თურქეთმა საკუთარი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია მოახდინა, პროდუქტები არ უნდა დაექვემდებაროს იმპორტის კონტროლს.
გაერთიანებული სამეფო (Brexit)	2021 წლის 1 იანვრიდან კავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობა აღარ ვრცელდება გაერთიანებულ სამეფოზე, რადგან ის "მესამე ქვეყანა" გახდა.

ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობა ვრცელდება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებზე და გარკვეულ ევროპულ ტერიტორიებზე, მათ შორის EEA EFTA სახელმწიფოებზე (ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია) EEA შეთანხმების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს საერთო წესებს და თანაბარი კონკურენციის პირობებს. წევრ სახელმწიფოებზე შექმნილი ყველა სახელმძღვანელო ასევე ვრცელდება EEA EFTA სახელმწიფოებზე. თურქეთთან 1995 წელს გაფორმებული საბაჟო კავშირი გულისხმობს ევროკავშირის პროდუქტის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას წარმოებული და გადამამუშავებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისთვის, რაც უზრუნველყოფს ამ პროდუქტების თავისუფალ მოძრაობას ევროკავშირსა და თურქეთს შორის. გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირიდან გასვლამ გამოიწვია ის, რომ გაერთიანებული სამეფოს შესაბამისობის ორგანოებმა დაკარგეს სტატუსი და ეკონომიკურმა ოპერატორებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შესაბამისობის სერტიფიკატები გაიცეს ევროკავშირის შესაბამისობის ორგანოების მიერ იმ პროდუქტებისთვის, რომლებიც ევროკავშირის ბაზარზე განთავსდა 2021 წლის 1 იანვრიდან. IE/Ni პროტოკოლი ვრცელდება ჩრდილოეთ ირლანდიაზე.

გარდამავალი დებულებები ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაციისთვის

არსებული კანონმდებლობის ჩანაცვლებისას, მწარმოებლებს ხშირად სჭირდებათ თავიანთი ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაციის (DoC) განახლება. თუ პროდუქტები შეესაბამება როგორც ძველ, ისე ახალ დირექტივებს (განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჰარმონიზაციის პაკეტების შემდეგ საბაზისო მოთხოვნები არ შეცვლილა), დოკუმენტში უნდა იყოს მითითებული ორივე დირექტივა და მათი მოქმედების პერიოდები.

პროდუქტის მიწოდების ჯაჭვის მონაწილეები და მათი ვალდებულებები³

ევროკავშირის ჰარმონიზაციის კანონმდებლობა განსაზღვრავს მწარმოებელს, ავტორიზებულ წარმომადგენელს, იმპორტიორს და დისტრიბუტორს როგორც „ეკონომიკურ ოპერატორებს“. (EU) 2019/1020 რეგულაცია ამ კატეგორიაში ასევე მოიაზრებს შეკვეთის შესრულების მომსახურების მიმწოდებელს, ან სხვა ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ ვალდებულებები პროდუქტებთან მიმართებით.

მწარმოებელი

მწარმოებელი არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ამზადებს პრო-

3 დეტალური ინფორმაცია იხილეთ დოკუმენტის - 'ლურჯი სახელმძღვანელო' - მესამე თავში

დუქტს, ან ფლობს პროექტირებულ და წარმოებულ პროდუქტს, და ათავსებს მას ბაზარზე საკუთარი სახელით, ან სავაჭრო ნიშნით. მწარმოებელი ატარებს საბოლოო პასუხისმგებლობას პროდუქტის შესაბამისობაზე ევროკავშირის ჰარმონიზაციის კანონმდებლობასთან. აღნიშნული პასუხისმგებლობა ითვალისწინებს, რომ წარმოების პროცესმა შესაბამისი პროდუქტების წარმოება უზრუნველყოს.

მწარმოებლის ძირითადი ვალდებულებები:

- ჩაატაროს შესაბამისობის შეფასება ან უზრუნველყოს მისი ჩატარება
- შეადგინოს მოთხოვნილი ტექნიკური დოკუმენტაცია.
- შეადგინოს ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაცია.
- პროდუქტს თან დაურთოს ინსტრუქციები და ინფორმაცია უსაფრთხოების წესების დაცვის შესახებ.
- დააკმაყოფილოს მიკვლევადობის მოთხოვნები: შეინახოს ტექნიკური დოკუმენტაცია და ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაცია 10 წლის განმავლობაში; უზრუნველყოს, რომ პროდუქტზე მითითებული იყოს ~ ტიპის, სერიის ან პარტიის ნომერი; თავისი სახელი, რეგისტრირებული სავაჭრო სახელი/ნიშანი და ერთი საკონტაქტო საფოსტო მისამართი პროდუქტზე (ან შეფუთვაზე/დოკუმენტაციაზე, თუ პირდაპირ მითითება შეუძლებელია).
- უზრუნველყოს შესაბამისობის ნიშანდება (CE ნიშანდების დატანა) და სხვა შესაბამისი ნიშანდება.
- უზრუნველყოს, რომ სერიული წარმოების პროცედურებმა შეინარჩუნონ შესაბამისობა, დიზაინის, სტანდარტებისა და ტექნიკური სპეციფიკაციების ცვლილებების გათვალისწინებით.
- საჭიროების შემთხვევაში დაადასტუროს პროდუქტი და/ან ხარისხის სისტემა შესაბამისობის ორგანოს მიერ.
- დაუყოვნებლივ მიიღოს მაკორექტირებელი ზომები (მოიყვანოს შესაბამისობაში, ამოიღოს ბაზრიდან, გაიწვიოს) თუ ბაზარზე არსებული პროდუქტი არ შეესაბამება მოთხოვნებს ან წარმოადგენს რისკს, და აცნობოს შესაბამის ეროვნულ ორგანოებს.
- დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს კომპეტენტურ ეროვნულ ორგანოებს ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია შესაბამისობის დასამტკიცებლად და ითანამშრომლოს რისკის შემცირების ქმედებებზე.
- აღრიცხოს ნებისმიერი ეკონომიკური ოპერატორი, ვისაც მიაწოდა პროდუქტი, და შეძლოს ამ ინფორმაციის წარდგენა 10 წლის განმავლობაში.

თუ იმპორტიორი ან დისტრიბუტორი მნიშვნელოვნად ცვლის პროდუქტს ან მას საკუთარი სახელით/სავაჭრო ნიშნით ათავსებს ბაზარზე, ის იღებს მწარმოებლის ვალდებულებებს.

ავტორიზებული წარმომადგენელი

ავტორიზებული წარმომადგენელი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც დაფუძნებულია ევროკავშირში და მწარმოებლის მიერ პირდაპირ არის დანიშნული, რომ იმოქმედოს მისი სახელით. მათი ამოცანები, როგორც წესი, ადმინისტრაციული ხასიათისაა, მათ შორის:

- ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაციისა და ტექნიკური დოკუმენტაციის შენახვა, ეროვნული ზედამხედველობის ორგანოებისთვის მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მათთან თანამშრომლობა.
- დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე ორგანოებისთვის საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მიწოდება .
- თანამშრომლობა ორგანოებთან, რათა აღმოიფხვრას მათი მანდატით განსაზღვრული პროდუქტებიდან მომდინარე რისკები.
- მათ ასევე შეიძლება დაევალოთ CE ნიშანდების დატანა და შესაბამისობის ორგანოს ნომრის დასმა, ან ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაციის შედგენა და ხელმოწერა. ზოგიერთ შემთხვევაში, მათ შეუძლიათ იმოქმედონ როგორც ეკონომიკურმა ოპერატორებმა, რომელიც ნახსენებია (EU) 2019/1020 რეგულაციის მე-4 მუხლში.

მწარმოებელს არ შეუძლია წარმოების პროცესის შესაბამისობის უზრუნველყოფის ან ტექნი-

კური დოკუმენტაციის შედგენის პასუხისმგებლობა გადააბაროს უფლებამოსილ წარმომადგენელს, თუ ეს კონკრეტულად არ არის განსაზღვრული.

იმპორტიორი

იმპორტიორი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც დაფუძნებულია ევროკავშირის ტერიტორიაზე და ბაზარზე ათავსებს მესამე ქვეყნიდან შემოტანილ პროდუქტს. იმპორტიორებს ეკისრებათ მნიშვნელოვანი როლი მესამე ქვეყნიდან შემოტანილი პროდუქტის შესაბამისობის შემოწმებაში.

იმპორტიორის ძირითადი ვალდებულებები:

- გადაამოწმოს, რომ მწარმოებელმა ჩაატარა შესაბამისობის შეფასება, შეადგინა ტექნიკური დოკუმენტაცია, დაიტანა CE ნიშანდებები, დააკმაყოფილა კვალიფიკაციის მოთხოვნები და უზრუნველყო ინსტრუქციები/უსაფრთხოების ინფორმაცია. ეჭვის შემთხვევაში, იმპორტიორმა თავი უნდა შეიკავოს პროდუქტის ბაზარზე განთავსებისგან ან მიიღოს მაკორექტირებელი ზომები.
- მიუთითოს თავისი სახელი, რეგისტრირებული სავაჭრო სახელმწოდება და საკონტაქტო მისამართი პროდუქტზე (ან შეფუთვაზე/დოკუმენტაციაზე, თუ პირდაპირ მითითება შეუძლებელია).
- უზრუნველყოს, რომ შენახვის ან ტრანსპორტირების პირობებმა არ დააზიანოს პროდუქტის შესაბამისობა.
- შეინახოს ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაციის ასლი 10 წლის განმავლობაში.
- უზრუნველყოს ტექნიკური დოკუმენტაციის წარდგენა შესაბამისი ორგანოების მოთხოვნის საფუძველზე და ითანამშრომლოს ინფორმაციის მიწოდებაში.
- 10 წლის განმავლობაში შეძლოს იმ ეკონომიკური ოპერატორების იდენტიფიცირება, რომლებმაც მას მიაწოდეს პროდუქტი ან რომლებსაც მან მიაწოდა პროდუქტი.
- მიიღოს აღმოსაფხვრელი ზომები, თუ მიიჩნევს, რომ მის მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქტი არ შეესაბამება მოთხოვნებს ან წარმოადგენს რისკს.

დისტრიბუტორი

განმარტება	მიწოდების ჯაჭვში ჩართული პირი (არ არის მწარმოებელი ან იმპორტიორი), რომელიც ბაზარს სთავაზობს საბოლოო პროდუქტს.
როლი	უნდა იმოქმედოს სათანადო სიფრთხილით და იცოდეს მოქმედი მოთხოვნები (მაგ., CE ნიშანდება); უნდა შეამოწმოს ფორმალური მოთხოვნების დაკმაყოფილება ბაზარზე განთავსებამდე.

დისტრიბუტორი არის მიწოდების ჯაჭვში ჩართული ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ წარმოადგენს მწარმოებელს ან იმპორტიორს, და რომელიც ბაზარს სთავაზობს საბოლოო პროდუქტს. დისტრიბუტორებმა უნდა იმოქმედონ სათანადო სიფრთხილით შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით.

პროდუქტის ბაზარზე განთავსებამდე, დისტრიბუტორებმა უნდა გადაამოწმონ:

- რომ პროდუქტი ატარებს შესაბამისობის აუცილებელ ნიშანდებას (მაგ., CE ნიშანდებას).
- რომ პროდუქტს ახლავს შესაბამისი დოკუმენტაცია (მაგ., ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაცია, თუ სავალდებულოა), ინსტრუქციები და უსაფრთხოების ინფორმაცია მარტივად გასაგებ ენაზე.
- რომ მწარმოებელმა და იმპორტიორმა მიუთითეს თავიანთი სახელები, სავაჭრო ნიშნები/

სახელები და მისამართები, და პროდუქტს აქვს საიდენტიფიკაციო კოდი.

- დისტრიბუტორებმა არ უნდა გაავრცელონ პროდუქტები, რომელთა შესახებ იციან ან აქვთ ეჭვი, რომ არ შეესაბამება მოთხოვნებს.
- ისინი უნდა დაეხმარონ ბაზრის ზედამხედველობის ორგანოებს დოკუმენტაციის მოპოვებაში და ითანამშრომლონ რისკის შემცირების ქმედებებში.
- დისტრიბუტორებს უნდა შეეძლოთ საკუთარი მომწოდებლებისა და მიმღებების იდენტიფიცირება 10 წლის განმავლობაში.

დისტრიბუტორებს არ მოეთხოვებათ თავად ჩაატარონ შესაბამისობის შეფასება ან შეინახონ ტექნიკური დოკუმენტაცია. მათ უნდა უზრუნველყონ, რომ მწარმოებლებმა და იმპორტიორებმა ეს ვალდებულებები შეასრულეს.

შეკვეთების შესრულების მომსახურების მიმწოდებლები (FSPs)

(EU) 2019/1020 რეგულაცია ითვალისწინებს შეკვეთების შესრულების მომსახურების მიმწოდებლებს როგორც ეკონომიკურ ოპერატორებს. FSP-ები სთავაზობენ მინიმუმ ორ მომსახურებას: საწყობის მომსახურება, შეფუთვა, მისამართის მიწერა და გაგზავნა, პროდუქტების მფლობელობის გარეშე. ევროკავშირში არსებული FSP-ები ვალდებული არიან ითანამშრომლონ ბაზრის ზედამხედველობის ორგანოებთან იმ პროდუქტებთან დაკავშირებით, რომლებსაც ისინი ამუშავებენ. თუ არც მწარმოებელი, არც იმპორტიორი და არც უფლებამოსილი წარმომადგენელი არ არის დაფუძნებული ევროკავშირში იმ პროდუქტებთან მიმართებაში, რომლებიც (EU) 2019/1020 რეგულაციის მე-4 მუხლის გავლენის ქვეშ ექცევა, მაშინ ევროკავშირში არსებული FSP ხდება ეკონომიკური ოპერატორი, რომელიც პასუხისმგებელია მე-4 მუხლის მიხედვით.

(EU) 2019/1020 რეგულაციის მე-4 მუხლში მითითებული ეკონომიკური ოპერატორი

ევროკავშირის ბაზარზე გარკვეული პროდუქტების განთავსებისას, (EU) 2019/1020 რეგულაციის მე-4 მუხლი მოითხოვს, რომ ევროკავშირში დარეგისტრირებული ეკონომიკური ოპერატორი უზრუნველყოფდეს ინფორმაციის მიწოდებას ან შესაბამისი ქმედებების განხორციელებას ხელისუფლების ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მწარმოებელი ევროკავშირის ფარგლებს გარეთაა და არც იმპორტიორი და არც ავტორიზებული წარმომადგენელი არ არის დარეგისტრირებული. აღნიშნული ფუნქციის შესრულება შეიძლება დაეკისროს ევროკავშირში მოქმედ მწარმოებელს, იმპორტიორს, ავტორიზებულ წარმომადგენელს (წერილობითი მანდატის საფუძველზე) ან შეკვეთების შესრულების მომსახურების მიმწოდებელს (იმ შემთხვევაში, თუ სხვა ოპერატორი არ არის დარეგისტრირებული).

ამ ეკონომიკური ოპერატორის სახელი, რეგისტრირებული სავაჭრო სახელი/ნიშანი და საკონტაქტო მონაცემები უნდა განთავსდეს პროდუქტზე, მის შეფუთვაზე, ამანათზე ან თანმხლებ დოკუმენტზე. ოპერატორი ვალდებულია გადაამოწმოს, რომ შესაბამისობის დეკლარაცია და ტექნიკური დოკუმენტაცია სათანადოდ არის შედგენილი და ხელმისაწვდომი, აცნობოს ხელისუფლების ორგანოს აღმოჩენილი რისკების შესახებ და უზრუნველყოს საჭირო მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელება.

მწარმოებელი კვლავაც რჩება პროდუქტის შესაბამისობაზე ძირითადად პასუხისმგებელ სუბიექტად.

პროდუქტის მოთხოვნები ⁴

პროდუქტის არსებითი მოთხოვნები (ESRs)

ევროკავშირის ჰარმონიზაციის კანონმდებლობის მნიშვნელოვანი ნაწილი საკანონმდებლო ჰარმონიზაციას ზღუდავს იმ არსებით მოთხოვნებამდე (ESRs), რომლებიც მოიცავს საზოგადოებრივ ინტერესებს, როგორიცაა ჯანმრთელობა, უსაფრთხოება (მომხმარებლებისა და მუშაკებისთვის), ქონების დაცვა და გარემოს დაცვა. ESR-ები განსაზღვრავს მისაღწევ შედეგებს

4 დეტალური ინფორმაცია იხილეთ დოკუმენტის - 'ლურჯი სახელმძღვანელო' - მეოთხე თავში

ან აღმოსაფხვრელ საფრთხეებს ტექნიკური გადაწყვეტილებების მითითების გარეშე, რაც მწარმოებლებს აძლევს მოქნილობას, თავად აირჩიონ როგორ დააკმაყოფილონ ისინი. მწარმოებლებმა უნდა ჩაატარონ რისკების ანალიზი, რათა გამოავლინონ ყველა შესაძლო რისკი და შესაბამისი ESR-ები თავიანთი პროდუქტისათვის და უნდა ასახონ ტექნიკურ დოკუმენტაციაში.

არსებით მოთხოვნებთან შესაბამისობა: ჰარმონიზებული სტანდარტები

ჰარმონიზებული სტანდარტების განსაზღვრა და მათი როლი

- **სტანდარტი** არის ნებაყოფლობითი ტექნიკური სპეციფიკაცია, რომლებიც მიღებულია აღიარებული სტანდარტიზაციის ორგანოების მიერ.
- **ევროპული სტანდარტები** არის სტანდარტები, რომლებსაც შეიმუშავებენ და აქვეყნებენ ევროპული სტანდარტიზაციის ორგანიზაციები (ESO), როგორიცაა CEN, CENELEC და ETSI.
- **ჰარმონიზებული სტანდარტები** არის ევროპული სტანდარტები, რომლებიც მუშავდება ევროკომისიის მოთხოვნით ევროკავშირის ჰარმონიზაციის კანონმდებლობის მხარდასაჭერად.
 - ჰარმონიზებული სტანდარტები, მათი მითითებების გამოქვეყნებისთანავე ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში (OJEU), ქმნის შესაბამისობის პრეზუმფციას იმ არსებით ან სხვა საკანონმდებლო მოთხოვნებთან, რომელთა დაკმაყოფილებასაც ისინი ისახავენ მიზნად.
 - ჰარმონიზებული სტანდარტების გამოყენება ნებაყოფლობითია. მწარმოებლებს შეუძლიათ გამოიყენონ სხვა ტექნიკური სპეციფიკაციებიც, თუმცა ამ შემთხვევაში მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა, დაადასტურონ შესაბამისობა პრეზუმფციის უპირატესობის სარგებლობის გარეშე.
 - მწარმოებლები ვალდებული არიან შეაფასონ საკუთარი რისკები, რათა განსაზღვრონ პროდუქტის ყველა შესაბამისი არსებითი მოთხოვნა (ESR), მიუხედავად იმისა, იყენებენ თუ არა ჰარმონიზებულ სტანდარტებს.
 - ჰარმონიზებული სტანდარტები არ ცვლის ESR-ებს, არამედ წარმოადგენს მათ დასაკმაყოფილებელ ტექნიკურ საშუალებას.

პრეზუმფციის გამოქვეყნება და გაუქმება

კომისია აქვეყნებს ჰარმონიზებული სტანდარტების მითითებებს ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში (OJEU) მას შემდეგ, რაც ატარებს შემოწმებებსა და შეფასებებს, რათა უზრუნველყოს მათი მოთხოვნებთან შესაბამისობა. OJEU-ში გამოქვეყნება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რადგან იგი აღნიშნავს დროს, როდესაც შესაბამისობის პრეზუმფცია ძალაში შედის. (EU) №1025/2012 რეგლამენტის მე-11(1) მუხლი ითვალისწინებს ფორმალური წინააღმდეგობის შესაძლებლობას, როცა წევრ სახელმწიფოებს ან ევროპარლამენტს მიაჩნიათ, რომ სტანდარტი სრულად არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. ასეთ შემთხვევაში კომისიას შეუძლია საერთოდ არ გამოაქვეყნოს მითითება, გამოაქვეყნოს შეზღუდვებით, ან ამოიღოს OJEU-დან, რითაც უქმდება ან იზღუდება პრეზუმფცია.

ჰარმონიზებული სტანდარტების გადახედვა

ევროპული სტანდარტიზაციის ორგანიზაციები (ESO) ჰარმონიზებულ სტანდარტებს გადახედავენ საკუთარი ინიციატივით ან კომისიის მოთხოვნის საფუძველზე. როდესაც სტანდარტი გადაიხედება, კომისია განსაზღვრავს ვადას, როდის უნდა ამოიღოს OJEU-დან შეცვლილი სტანდარტის მითითება, ხშირად „გარდამავალი ან თანაარსებობის პერიოდის“ დაშვებით, როდესაც ორივე ვერსია უზრუნველყოფს შესაბამისობის პრეზუმფციას. მწარმოებლები ინფორმირებული უნდა იყვნენ ამ ცვლილებების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში მიიღონ შესაბამისი ზომები, რადგან OJEU-დან მითითების ამოღება ავტომატურად არ აუქმებს უკვე არსებულ სერტიფიკატებს, თუმცა გავლენას ახდენს შესაბამისობის ახალ შეფასებებზე.

შესაბამისობა არსებით მოთხოვნებთან: სხვა შესაძლებლობები

მწარმოებლებს შეუძლიათ გამოიყენონ სხვა სტანდარტები (ეროვნული, საერთაშორისო ან ევროპული, რომლებიც არ არის გამოქვეყნებული OJEU-ში) ან საკუთარი ტექნიკური სპეციფიკაციები. ასეთ შემთხვევაში ისინი ვერ სარგებლობენ პრეზუმფციით და ვალდებული არიან წარადგინონ დეტალური მტკიცებულებები ტექნიკურ ფაილში (მაგ., რისკების სიდრმისეული შეფასება ან ხარვეზების ანალიზი).

მიკვლევადობის მოთხოვნები

მიკვლევადობა უზრუნველყოფს პროდუქტის ისტორიის მიკვლევის შესაძლებლობას, რაც აუცილებელია ბაზრის ზედამხედველობისათვის, რათა მოხდეს პასუხისმგებელი ეკონომიკური ოპერატორების იდენტიფიკაცია და შესაბამისობის მტკიცებულებების მიღება.

- **მწარმოებლები** ვალდებული არიან მიუთითონ საკუთარი სახელი, რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი და ერთი საკონტაქტო მისამართი პროდუქტზე, შეფუთვასა და/ან თანმხლებ დოკუმენტაციაში. ასევე პროდუქტი უნდა იყოს იდენტიფიცირებული ტიპის, პარტიის, სერიული ან მოდელის ნომრით.
- **იმპორტიორებმა** ანალოგიურად უნდა მიუთითონ საკუთარი მონაცემები.
- **ეკონომიკურმა ოპერატორებმა, რომელთაც ეხებათ (EU) 2019/1020 რეგულაციის მე-4 მუხლი**, ასევე უნდა მიუთითონ თავიანთი ინფორმაცია პროდუქტზე, შეფუთვაზე, პაკეტზე ან თანმხლებ დოკუმენტზე.
- **ყველა ოპერატორმა** 10 წლის განმავლობაში უნდა შეინახოს ინფორმაცია მომწოდებლებისა და მყიდველების შესახებ.

ტექნიკური დოკუმენტაცია

მწარმოებელი ვალდებულია მოამზადოს ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებს პროდუქტის შესაბამისობას მოქმედ მოთხოვნებთან. დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს ინფორმაციას პროდუქტის დიზაინის, წარმოებისა და ექსპლუატაციის შესახებ, მათ შორის რისკების ანალიზს, რომელიც განსაზღვრავს ყველაპოტენციურ რისკს და შესაბამის ESR-ებს, დაასახავს მათი მართვის გზებს. დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროდუქტის ბაზარზე განთავსების დროს და შენახული უნდა იქნეს 10 წლის (ან მეტი, თუ ეს განსაზღვრულია) განმავლობაში. იგი უნდა ასახავდეს პროდუქტის ყველა ვერსიას, ცვლილებებსა და შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებულ დეტალებს. საჭიროების შემთხვევაში დოკუმენტაცია უნდა იყოს იმ ენაზე, რომელიც გასაგებია უფლებამოსილი ორგანოსთვის.

ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაცია (DoC)

მწარმოებელმა ან ევროკავშირში მისმა ავტორიზებულმა წარმომადგენელმა პროდუქტის ბაზარზე განთავსებამდე უნდა შეადგინოს და ხელი მოაწეროს ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაციას. ამით მწარმოებელი იღებს სრულ პასუხისმგებლობას პროდუქტის შესაბამისობაზე. დოკუმენტი უნდა შეინახოს 10 წლის (ან მეტი, თუ ეს განსაზღვრულია) განმავლობაში და მუდმივად განახლდეს. იმპორტირებული პროდუქტებისთვის, დოკუმენტის შენახვაზე პასუხისმგებელია იმპორტიორი. დოკუმენტი უნდა შეიცავდეს:

- პროდუქტის საიდენტიფიკაციო ნომერს (ტიპი, პარტია ან სერიის ნომერი);
- მწარმოებლის ან დეკლარაციის გამცემი უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელსა და მისამართს;
- განცხადებას, რომ დეკლარაცია გაიცემა მხოლოდ მწარმოებლის პასუხისმგებლობით;
- პროდუქტის იდენტიფიკაციას, რომელიც უზრუნველყოფს მის მიკვლევადობას;
- ინფორმაციას ევროკავშირის ყველა შესაბამის ჰარმონიზებულ კანონმდებლობასთან, მითითებულ ჰარმონიზებულ სტანდარტებთან ან სხვა ტექნიკურ სპეციფიკაციებთან (ვერსია/თარიღი) შესაბამისობის შესახებ;

- უფლებამოსილი ორგანოს სახელსა და საიდენტიფიკაციო ნომერს (მისი ჩართულობის შემთხვევაში) და შესაბამის სერტიფიკატებზე მითითებას;
- დამატებით ინფორმაციას (კლასი, კატეგორია) საჭიროების შემთხვევაში;
- გაცემის თარიღს, ხელმოწერას და უფლებამოსილი პირის თანამდებობას.

თუ პროდუქტი ერთდროულად ექვემდებარება ევროკავშირის რამდენიმე ჰარმონიზებულ აქტს, საჭიროა ერთიანი შესაბამისობის დეკლარაცია. მოთხოვნის შემთხვევაში დოკუმენტი უნდა იყოს ხელმისაწვდომი ბაზრის ზედამხედველობის ორგანოებისთვის და, კონკრეტული კანონმდებლობის შემთხვევაში, უნდა ერთვოდეს პროდუქტს. იგი უნდა ითარგმნოს იმ წევრი სახელმწიფოს ენაზე (ენებზე), სადაც პროდუქტი ხდება ხელმისაწვდომი.

ნიშანდების მოთხოვნები

CE ნიშანდების დატანა

დატანის პასუხისმგებლობა	CE ნიშანს დაიტანს მწარმოებელი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომელიც დაფუძნებულია კავშირში.
ნიშნულის მნიშვნელობა	მიუთითებს, რომ პროდუქტი შეესაბამება კავშირის ყველა შესაბამის საკანონმდებლო მოთხოვნას. ის არ ემსახურება კომერციულ მიზნებს.
ნოტიფიცირებული ორგანოს ნომერი	თუ ნოტიფიცირებული ორგანო ჩართულია წარმოების კონტროლის ფაზაში, მისი საიდენტიფიკაციო ნომერი უნდა მოჰყვეს CE ნიშანს.
სხვა ნიშანდებები	პროდუქტს შეიძლება ჰქონდეს დამატებითი ნიშანდები, თუ ისინი ასრულებენ CE ნიშანდებისგან განსხვავებულ ფუნქციას და არ იწვევენ გაუგებრობას.

CE ნიშანდების დატანა წარმოადგენს შესაბამისობის სავალდებულო ნიშანდებას, რომელსაც დაიტანს მწარმოებელი (ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი). მისი დატანით, მწარმოებელი აცხადებს, საკუთარი სრული პასუხისმგებლობით, რომ პროდუქტი შეესაბამება ყველა იმ შესაბამის ერთიან საკანონმდებლო მოთხოვნას, რომელიც ითვალისწინებს CE ნიშანდების დატანას, და რომ შესაბამისობის შეფასების პროცედურები წარმატებით არის დასრულებული.

- CE ნიშანდების დატანა არ მიუთითებს იმაზე, რომ პროდუქტი დამზადებულია ევროკავშირში; იგი აღნიშნავს შესაბამისობას ევროკავშირის მოთხოვნებთან, წარმოშობის ქვეყნის მიუხედავად.
- ის უნდა იყოს დატანილი პროდუქტის ზედაპირზე ან მის მონაცემთა დაფაზე თვალსაჩინოდ, მკაფიოდ და ხელშეუხებლად. იმ შემთხვევაში, თუ ეს პროდუქტის ბუნებიდან გამომდინარე შეუძლებელია, ნიშანდების დატანა შეიძლება განხორციელდეს შეფუთვაზე და/ან თანმხლებ დოკუმენტაციაზე. CE ნიშანდების მინიმალური სიმაღლე, როგორც წესი, უნდა იყოს 5 მმ. მხოლოდ ელექტრონული ნიშანდება დაუშვებელია.
- თუ წარმოების კონტროლის ფაზაში ჩართულია უფლებამოსილი/ნოტიფიკაციის ორგანო (NB), მისი იდენტიფიკაციის ნომერი უნდა მოჰყვეს CE ნიშანდებს.
- იმ შემთხვევაში, თუ იმპორტიორი ან დისტრიბუტორი ბაზარზე გამოიტანს პროდუქციას საკუთარი სახელით ან შეიტანს მასში ცვლილებებს, იგი იღებს პასუხისმგებლობას CE

ნიშანდების დატანაზე.

- CE ნიშანდების არასათანადო გამოყენებისთვის (მაგალითად, ყალბი ნიშანდების დატანა, ნიშანდების დატანა შეუსაბამო პროდუქტებზე) დაწესებული სანქციები განსაზღვრულია ეროვნული კანონმდებლობით და უნდა იყოს ეფექტიანი, პროპორციული და შემაკავებელი.

სხვა ნიშანდებები

პროდუქტს შეიძლება ჰქონდეს დამატებითი ნიშანდებები, იმ პირობით, რომ ისინი ასრულებენ CE ნიშანდებისგან განსხვავებულ ფუნქციას, არ იწვევენ გაურკვევლობას და არ უშლიან ხელს მის წაკითხვადობას. სხვა სავალდებულო ნიშანდების მაგალითებს წარმოადგენს: ევროკავშირის ენერგეტიკული ეტიკეტი, აფეთქებისგან დაცვის სპეციფიკური ნიშანდებები და დამატებითი მეტროლოგიური ნიშანდებები. ეს ნიშანდებები არის დამატებითი და არ ემთხვევა CE ნიშანდებს.

შესაბამისობის შეფასება⁵

რა არის შესაბამისობის შეფასება?

შესაბამისობის შეფასება არის პროცესი, რომლის საშუალებითაც მწარმოებელი ადასტურებს, რომ პროდუქტის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები შესრულებულია. აღნიშნული ეხება როგორც დიზაინის, ისე წარმოების ეტაპებს, და მისი შესრულება მთლიანად მწარმოებლის პასუხისმგებლობაა, თუნდაც სამუშაოს ნაწილი გარედან იყოს დაკვეთილი. შესაბამისობის შეფასება უზრუნველყოფს, რომ ბაზარზე განთავსებული პროდუქტი შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს და იგი განსხვავდება ბაზრის ზედამხედველობისგან.

შესაბამისობის შეფასების მოდულური სტრუქტურა


№ 768/2008/EC გადაწყვეტილება ადგენს შესაბამისობის შეფასების მოდულების „ჰორიზონტალურ მენიუს“. კანონმდებლები კონკრეტული სექტორისთვის ირჩევენ შესაბამის მოდულ(ებ)ს, რაც დამოკიდებულია პროდუქტის ტიპზე, საფრთხეებზე, საზოგადო ინტერესზე, ეკონომიკურ სტრუქტურასა და წარმოების მეთოდებზე. პროცედურები შეიძლება მოიცავდეს ერთ ან ორ მოდულს: ერთის შემთხვევაში მოდული ფარავს როგორც პროექტირების, ისე წარმოების ეტაპს, ხოლო ორის შემთხვევაში – ცალკე აფასებს პროექტირებასა და წარმოებას (მაგალითად, დიზაინის EU-ტიპის გამოცდა, რასაც მოსდევს წარმოების მოდული).

შესაბამისობის შეფასების მონაწილე მხარეები

მთავარი მოქმედი სუბიექტები არიან: კანონმდებელი, მწარმოებელი და, საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილი/ნოტიფიცირებული ორგანო (NB) ან აკრედიტებული შიდა ორგანო.

- **მწარმოებელი:** ახორციელებს პროდუქტის დაპროექტებას, წარმოებასა და ტესტირებას; ადგენს ტექნიკურ დოკუმენტაციას და ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაციას; ახორციელებს CE ნიშანდების და, საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილი/ნოტიფიცირებული ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომრის დატანას. მწარმოებელი ყოველთვის ინარჩუნებს პასუხისმგებლობას პროდუქტის შესაბამისობაზე.
- **უფლებამოსილი ორგანო / აკრედიტებული შიდა ორგანო:** ასრულებს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემოწმებებსა და შეფასებებს, გასცემს დადასტურების სერტიფიკატებს ან დამოწმებებს. შიდა აკრედიტებული ორგანო უნდა იყოს მწარმოებლის ორგანიზაციის კომერციული, დიზაინის ან წარმოების ერთეულებისგან დამოუკიდებელი და მკაფიოდ განცალკევებული ნაწილი. ასევე უნდა დაამტკიცოს ტექნიკური კომპეტენცია და მიუკერძოებლობა აკრედიტაციის გზით.

შესაბამისობის შეფასების დიაგრამა



მოდულები და მათი ვარიანტები

არსებობს რვა ძირითადი მოდული (A–H) და მათი ვარიანტები, რომლებიც განსაზღვრავენ მწარმოებლის პასუხისმგებლობასა და უფლებამოსილი/ნოტიფიცირებული ორგანოების მონაწილეობას. ვარიანტები საშუალებას იძლევა განისაზღვროს მაღალი რისკის პროდუქტებისთვის ადეკვატური დაცვის დონე ზედმეტი ტვირთის გარეშე.

ერთ- და ორმოდულიანი პროცედურები – EU-ტიპის შემოწმების საფუძველზე

კომპლექსური ან მასობრივი წარმოების პროდუქტებისთვის შესაბამისობის შეფასება ხშირად ორ ეტაპად მიმდინარეობს:

1. **EU-ტიპის შემოწმება** (მოდული B): უფლებამოსილი/ნოტიფიცირებული ორგანო სწავლობს პროდუქტის ტექნიკურ დიზაინს ან ნიმუშს (პროტოტიპს) და სამართლებრივ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში გასცემს EU-ტიპის შემოწმების სერტიფიკატს. მოდული B მოიცავს მხოლოდ პროექტირების ეტაპს.
2. **წარმოების მოდულები** (მაგ., C, C1, C2, D, E, F): ეს მოდულები მოდულ B-ის შემდეგ გამოიყენება და ადასტურებენ, რომ წარმოებული პროდუქტები შეესაბამება დამტკიცებულ EU-ტიპს. მწარმოებელი კვლავ პასუხისმგებელია შესაბამისობაზე. წარმოების ფაზის შემფასებელი უფლებამოსილი/ნოტიფიცირებული ორგანო შეიძლება განსხვავდებოდეს B მოდულის ორგანოსგან. წარმოების მოდულის სერტიფიკატი უნდა გაიცეს B მოდულის სერტიფიკატის შემდეგ და ორივე ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროდუქტის ბაზარზე განთავსებამდე.


ხარისხის უზრუნველყოფაზე დაფუძნებული მოდულები

მოდულები D, E, H და მათი ვარიანტები ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების გამოყენებას.

- მწარმოებლები იყენებენ ხარისხის სისტემას, რათა უზრუნველყონ პროდუქტების საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობა.
- EN ISO 9000/9001 სტანდარტების დაცვა ქმნის შესაბამისობის პრეზუმფციას აღნიშნულ მოდულებთან მიმართებით, თუ სისტემა ითვალისწინებს პროდუქტის სპეციფიკას.
- უფლებამოსილი ორგანოები აფასებენ ხარისხის სისტემას.
- **მოდული D და D1:** მოიცავს წარმოების მთელ პროცესს (დამზადება და საბოლოო შემოწმება).
- **მოდული E და E1:** ფოკუსირებულია მხოლოდ პროდუქტის საბოლოო შემოწმებასა და ტესტირებაზე.
- **მოდული H:** ფარავს როგორც დიზაინს, ისე წარმოების ეტაპებს ხარისხის სრული უზრუნველყოფის სისტემით. მოდული H1 დამატებით მოიცავს დიზაინის შემოწმებას უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რომელიც გასცემს დიზაინის სერტიფიკატს (EU design examination certificate).

მოდულებისა და პროცედურების მიმოხილვა

ცხრილი მოიცავს ყველა მოდულის (A, A1, A2, B, C, C1, C2, D, D1, E, E1, F, F1, G, H, H1) აღწერას, სადაც მითითებულია დაფარული ეტაპი (პროექტირება, წარმოება ან ორივე) და მწარმოებლის/შესაბამისობის ორგანოს მონაწილეობა. მოცემულია ასევე ერთმოდულიანი (A, A1, A2, D1, E1, F1, G, H, H1) და ორმოდულიანი (B+C, B+D და სხვ.) პროცედურები, რომელთა შერჩევა დამოკიდებულია პროდუქტის რისკზე, დიზაინის სირთულესა და წარმოების ტიპზე.



შესაბამისობის შეფასების და უფლებამოსილი/ნოტიფიცირებული ორგანოები

შესაბამისობის შემფასებელი ორგანოები (CABs) ასრულებენ სხვადასხვა ფუნქციას (კალიბრაცია, ტესტირება, სერტიფიცირება, ინსპექტირება). უფლებამოსილი/ნოტიფიცირებული ორგანოები (NBs) არიან ეროვნული (სახელმწიფო) ორგანოების მიერ ოფიციალურად დანიშნული CAB-ები, რომლებსაც აქვთ უფლება განახორციელონ შესაბამისობის შეფასების პროცედურები, როდესაც კანონმდებლობა მოითხოვს მესამე მხარის ჩართვას. ისინი უნდა იყვნენ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში დაფუძნებული იურიდიული პირები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ეროვნული ორგანოების წინაშე.

უფლებამოსილი/ნოტიფიცირებული ორგანოების (NBs) როლი და პასუხისმგებლობა

- **სფერო:** NBs უფლებამოსილი არიან მომსახურება გაუწიონ ნებისმიერ ეკონომიკურ ოპერატორს (ევროკავშირის შიგნით ან გარეთ) მათი უფლებამოსილების ფარგლებში.
- **ინფორმაციის გაზიარება:** ისინი ვალდებული არიან აცნობონ უფლებამოსილ ორგანოს, ბაზრის ზედამხედველობის ორგანოებს და სხვა NBs-ს თავიანთი საქმიანობის შესახებ, მათ შორის სერტიფიკატების უარყოფის, შეზღუდვის, შეჩერების ან გაუქმების ფაქტებზე.
- **დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა:** ისინი უნდა მოქმედებდნენ კომპეტენტურად, გამჭვირვალედ, მიუკერძოებლად და თავისუფალი იყვნენ კომერციული ან სხვა ზეწოლისგან. აკრძალულია მათი მონაწილეობა მწარმოებლის, მიწოდების ჯაჭვის ან კონკურენტის როლში, ასევე კონსულტაციების შეთავაზება პროდუქტის დიზაინის/წარმოების საკითხებზე.
- **კომპეტენცია:** NBs უნდა ჰყავდეთ საკმარისი და კვალიფიციური პერსონალი, ტექნიკური ცოდნით სტანდარტიზაციის, ტექნოლოგიებისა და წარმოების მეთოდების შესახებ. მათ უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ინფრასტრუქტურა ტესტირებისთვის.
- **კონფიდენციალობა და დაზღვევა:** ისინი ვალდებული არიან დაიცვან კონფიდენციალობა და ჰქონდეთ საკმარისი პროფესიული დაზღვევა.
- **ქვეკონტრაქტირება:** შესაძლებელია დავალებების გადაცემა ქვეკონტრაქტორზე, თუმცა სრული პასუხისმგებლობა რჩება NB-ზე. ქვეკონტრაქტორიც უნდა აკმაყოფილებდეს იმავე მოთხოვნებს.
- **კოორდინაცია:** NBs ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ ევროკომისიის მიერ ორგანიზებულ კოორდინაციის საქმიანობაში ერთიანი პრაქტიკის უზრუნველსაყოფად.

უფლებამოსილი/ნოტიფიცირებული (NBs) ორგანოების კომპეტენცია

NBs ინიშნებიან, რათა შეაფასონ შესაბამისობა არსებით მოთხოვნებთან და უზრუნველყონ ტექნიკური დებულებების თანმიმდევრული გამოყენება. მათ უნდა დაამტკიცონ კომპეტენცია, მათ შორის მაშინაც, როდესაც ჰარმონიზებული სტანდარტები არ არსებობს. კომპეტენციის დასამტკიცებლად უპირატესად გამოიყენება აკრედიტაცია.

შეტყობინება/ნოტიფიკაცია

შეტყობინება/ნოტიფიკაცია არის ოფიციალური აქტი, რომლის საშუალებითაც ეროვნული ორგანო აცნობებს ევროკომისიას და სხვა წევრ ქვეყნებს, რომ CAB დანიშნულია შესაბამისობის შეფასების დავალებებისთვის და აკმაყოფილებს NB-ის მოთხოვნებს.

- **ეროვნული უფლებამოსილი ორგანოები:** სახელმწიფო ან საჯარო სტრუქტურები, რომლებიც წევრმა სახელმწიფოებმა განსაზღვრეს CAB-ების შესაფასებლად, დასანიშნად და მონიტორინგისთვის.
- **პროცესი:** CAB მიმართავს თავის ეროვნულ ორგანოს, თან ურთავს საქმიანობის აღწერას და სასურველია, აკრედიტაციის სერტიფიკატს. შეტყობინება იგზავნება NANDO-ს საშუალებით (New Approach Notified and Designated Organisations), რომელიც ევროკომისიის ელექტრონული პლატფორმაა.
- **აკრედიტაცია:** სავალდებულო არ არის, მაგრამ უპირატესად და ყველაზე საიმედო საფუძვლად ითვლება NB-ის კომპეტენციის დასადასტურებლად. იგი უზრუნველყოფს მიუკერძოებლობასა და ტექნიკურ სანდოობას.

- **მონიტორინგი და გაუქმება:** უფლებამოსილი ორგანოები რეგულარულად აკონტროლებენ NB-ს. მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მათი შეტყობინება უნდა შეჩერდეს ან გაუქმდეს და ამის შესახებ ეცნობოს ევროკომისიას და სხვა წევრ ქვეყნებს.

აკრედიტაცია⁶

რატომ არის საჭირო აკრედიტაცია?

(EC) № 765/2008 რეგულაცია ადგენს სამართლებრივ ჩარჩოს აკრედიტაციისთვის და განსაზღვრავს მას, როგორც საზოგადოებრივი კონტროლის ბოლო დონეს ევროპულ შესაბამისობის შეფასების ჯაჭვში. აკრედიტაცია აძლიერებს ნდობას პროდუქტის უსაფრთხოებისა და შესაბამისობის მიმართ, უზრუნველყოფს საქონლის თავისუფალ მოძრაობას და ამცირებს ადმინისტრაციულ ტვირთს წევრ სახელმწიფოებში აკრედიტაციის პრაქტიკის ჰარმონიზაციის გზით. ევროკავშირში აკრედიტაცია წარმოადგენს არაკომერციულ და არაკონკურენტულ საჯარო საქმიანობას.

რა არის აკრედიტაცია?

აკრედიტაცია არის სტანდარტებზე დაფუძნებული პროცესი, რომელიც ამოწმებს და ადასტურებს შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების (CAB-ების) ტექნიკურ კომპეტენტურობას, სანდოობასა და მთლიანობას კონკრეტულ სფეროებში საქმიანობის შესასრულებლად. იგი ეფუძნება გამჭვირვალე და მიუკერძოებელ შეფასებას საერთაშორისო დონეზე აღიარებული სტანდარტების (EN ISO/IEC 17000 სერია) და სხვა მოთხოვნების შესაბამისად. ევროკავშირში აკრედიტაციის მინიჭების უფლებამოსილება მხოლოდ ეროვნული აკრედიტაციის ორგანოებს (NAB-ებს) აქვთ.

აკრედიტაციის სფერო

აკრედიტაცია ყოველთვის გაიცემა განსაზღვრული სფეროსთვის, სადაც მკაფიოდ არის მითითებული შესაბამისობის შეფასების კონკრეტული საქმიანობები (მაგ., ტესტის ტიპი, გამოყენებული მეთოდი), რომელთა შესრულებაშიც CAB კომპეტენტურია. ეს უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და შედეგების შედარების საშუალებას.

ეროვნული აკრედიტაციის ორგანოები (NAB-ები)

- თითოეულ წევრ სახელმწიფოს შეუძლია დანიშნოს მხოლოდ ერთი ეროვნული აკრედიტაციის ორგანო.
- NAB-ები ფუნქციონირებენ როგორც საჯარო ორგანოები და ისინი ოფიციალურად უნდა სცნოს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ხელისუფლებამ. მათი პასუხისმგებლობები მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს სხვა ეროვნულ ორგანოების პასუხისმგებლობებისგან, რათა უზრუნველყოფილი იყოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.
- აკრედიტაციის მომსახურება გაიცემა არამომგებიანი პრინციპით, ხოლო მიღებული ჭარბი შემოსავალი კვლავ ინვესტირდება აკრედიტაციის საქმიანობების განვითარებაში.
- NAB-ებს ეკრძალებათ კონკურენცია სხვა აკრედიტაციის ორგანოებთან ევროკავშირის ფარგლებში და, როგორც წესი, მხოლოდ საკუთარი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოქმედებენ (განსაზღვრული გამონაკლისების გარდა, როგორიცაა საზღვრებს გარეთ აკრედიტაცია).

ევროპული აკრედიტაციის ინფრასტრუქტურა

EA-ს როლი	აკრედიტაციის ევროპული თანამშრომლობა (EA) არის ეროვნული აკრედიტაციის ორგანოების ევროპული ორგანიზაცია, რომელიც ცენტრალურ როლს ასრულებს რეგულაციის განხორციელებაში.
ურთიერთშეფასება (Peer Review)	EA-ს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ეროვნული აკრედიტაციის ორგანოების ურთიერთშეფასების სისტემის ორგანიზება (მაქსიმუმ ოთხ წელიწადში ერთხელ).

ევროპის აკრედიტაციის თანამშრომლობა (EA) აერთიანებს ევროპულ NAB-ებს და ცენტრალურ როლს ასრულებს (EC) № 765/2008 რეგულაციის განხორციელებაში:

- ახორციელებს ურთიერთშეფასების სისტემას NAB-ებისთვის, რაც უზრუნველყოფს ევროპაში აკრედიტაციის პრაქტიკის თანმიმდევრულობას და ექვივალენტურობას. წარმატებული შეფასების შემდეგ NAB-ს შეუძლია ხელი მოაწეროს EA მრავალმხრივ შეთანხმებას (EA MLA), რაც უზრუნველყოფს აკრედიტაციის სერთიფიკატების ურთიერთაღიარებას ევროკავშირში.
- ხელს უწყობს ევროპული აკრედიტაციის მომსახურების ჰარმონიზაციას და სექტორული სქემების განვითარებას/აღიარებას (პროდუქტის კონკრეტულ სექტორებზე მორგებული მოთხოვნები).

ტრანსსასაზღვრო აკრედიტაცია

გამოყენების პირობები	შესაბამისობის შეფასების ორგანოს შეუძლია მიმართოს სხვა წევრი სახელმწიფოს ეროვნულ აკრედიტაციის ორგანოს, თუ მის საკუთარ წევრ სახელმწიფოში არ არსებობს შესაბამისი ორგანო, ან თუ ის არ სთავაზობს მოთხოვნილი აკრედიტაციის მომსახურებას.
-----------------------------	---

როგორც წესი, CAB-ებმა აკრედიტაცია უნდა მოითხოვონ იმ წევრი სახელმწიფოს NAB-ისგან, სადაც ისინი არიან დაფუძნებული. გამონაკლისი დაშვებულია მხოლოდ მაშინ, თუ ადგილობრივი NAB არ არსებობს, არ სთავაზობს საჭირო მომსახურებას, ან ვერ გაიარა ურთიერთშეფასება კონკრეტული საქმიანობისთვის. რეგულაციის მიზანია თავიდან აიცილოს ტრანსნაციონალური CAB-ებისათვის ზედმეტი და ძვირადღირებული განმეორებითი შეფასებები, რის გამოც ნებადართულია მრავალფილიალიანი CAB-ის აკრედიტაცია, როცა სათაო ოფისი მართავს ადგილობრივ სტრუქტურებს სხვადასხვა ქვეყანაში, ხარისხის ერთიანი სისტემის ფარგლებში და თავადაა საბოლოო პასუხისმგებლობის მატარებელი შესაბამისობის შეფასების შედეგებზე.

საერთაშორისო კონტექსტი

ევროკავშირის აკრედიტაციის სისტემა თავსებადია გლობალურ მოთხოვნებთან, რაც ხელს უწყობს საერთაშორისო ვაჭრობას. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის გარეთ გაცემული შესაბამისობის შეფასების დოკუმენტები (თუნდაც საერთაშორისო MRA/MLA ხელმომწერი ორგანოების მიერ აკრედიტებული) შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებაყოფლობით სფეროში, ევროკავშირის ეროვნულ ორგანოებს უფლება აქვთ არ აღიარონ ისინი სავალდებულო სფეროში, თუ ევროკავშირის გარეთ მდებარე აკრედიტაციის ორგანოები არ შეესაბამება ევროკავშირის მოთხოვნებს. თუმცა, ევროკავშირსა და მესამე ქვეყნებს შორის დადებული ურთიერთაღიარების შეთანხმებები (MRAs) უზრუნველყოფს ტესტირების ანგარიშებისა და სერტიფიკატების ორმხრივ აღიარებას, რაც იძლევა საშუალებას პროდუქტი დამატებითი შესაბამისობის შეფასების გარეშე განთავსდეს მეორე მხარის ბაზარზე.

ბაზრის ზედამხედველობა⁷

რატომ არის საჭირო ბაზრის ზედამხედველობა?

ბაზრის ზედამხედველობა აუცილებელია იმისათვის, რომ უზრუნველყოს პროდუქტების შესაბამისობა მოქმედ მოთხოვნებთან და დაიცვას საზოგადოებრივი ინტერესები (მაგ., ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, გარემო, მომხმარებელთა დაცვა, საზოგადოებრივი უსაფრთხოება). იგი უზრუნველყოფს ერთიან დაცვის დონეს ბაზარზე და პროდუქტის წარმოშობის მიუხედავად, ხელს უწყობს სამართლიან კონკურენციას შეუსაბამო პროდუქციის წინააღმდეგ. ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები ისეთი პროდუქციის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების თავიდან ასაცილებლად, რომელიც არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს.

(EU) 2019/1020 რეგულაციის მოქმედების სფერო

(EU) 2019/1020 რეგულაცია აკონტროლებს ბაზრის ზედამხედველობას უმეტეს არასასურსათო პროდუქტებზე, რომლებიც ექვემდებარება ევროკავშირის ჰარმონიზებულ კანონმდებლობას. იგი ვრცელდება 70 რეგულაციასა და დირექტივაზე (ჩამოთვლილია მის დანართ I-ში), რომლებიც ევროკავშირის დონეზე ახდენენ არასასურსათო პროდუქტებთან დაკავშირებულ მოთხოვნების ჰარმონიზაციას მომხმარებლების, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, გარემოს და სხვა საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად. თუ ევროკავშირის სხვა კანონმდებლობაში არსებობს სპეციფიკური ზედამხედველობის წესები, ისინი პრიორიტეტულია („lex specialis“). საზღვრებზე კონტროლთან დაკავშირებული მისი დებულებები პროდუქტების ფართო სფეროს მოიცავს, მათ შორის GPSD-ის პროდუქციას.

ბაზრის ზედამხედველობის ორგანიზება

ბაზრის ზედამხედველობა ორგანიზებულია ეროვნულ დონეზე:

- **ეროვნული ინფრასტრუქტურა:** წევრ სახელმწიფოებში დანიშნულია ერთი ან მეტი ბაზრის ზედამხედველობის ორგანო და სხვა ორგანოები ევროკავშირის გარე საზღვრის კონტროლისთვის. ერთიანი კოორდინაციის ოფისი უზრუნველყოფს ეროვნულ ორგანოებსა და ევროკავშირის დონეზე თანამშრომლობას. ორგანოებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი უფლებები, რესურსები (ონლაინ გაყიდვების ჩათვლით) და კვალიფიციური პერსონალი, მუშაობდნენ დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად.
- **ეროვნული სტრატეგიები:** წევრმა სახელმწიფოებმა ყოველ ოთხ წელიწადში უნდა მოამზადონ სტრატეგიები, რომელშიც განსაზღვრავენ პრიორიტეტებს შესაბამისობის შეფასებების, ბაზრის ტენდენციების და ტექნოლოგიური განვითარების საფუძველზე. სტრატეგიები ეგზავნებათ სხვა წევრ სახელმწიფოებსა და კომისიას.
- **საზოგადოების ინფორმირება:** სახელმწიფოები ვალდებული არიან საზოგადოებას მიაწოდონ ინფორმაცია აღმოჩენილი საფრთხეების შესახებ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეკონომიკური ოპერატორები ამას არ აკეთებენ, და უზრუნველყონ საჩივრების მიღების შესაძლებლობა.
- **სანქციები:** სახელმწიფოები ადგენენ ეფექტიან, პროპორციულ და შემაკავებელ სანქციებს დარღვევებისთვის, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს ზედამხედველობის ხარჯების ანაზღაურებას ეკონომიკური ოპერატორის მხრიდან.

ბაზრის ზედამხედველობის ორგანოების მიერ ჩატარებული შემოწმებები

საქმიანობის პრინციპი	ბაზრის ზედამხედველობის ორგანოებმა უნდა ჩაატარონ შემოწმებები ონლაინ და ოფლაინ ხელმისაწვდომ პროდუქტებზე, რისკებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით.
დოკუმენტაციის მოთხოვნა	ბაზრის ზედამხედველობის ორგანოებს უფლება აქვთ მოითხოვონ შესაბამისობის დეკლარაცია და ტექნიკური დოკუმენტაცია მწარმოებლისგან, უფლებამოსილი წარმომადგენლისგან ან იმპორტიორისგან.
ზომები	შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, ორგანოები პირველ რიგში უნდა დაუკავშირდნენ ეკონომიკურ ოპერატორს და მოსთხოვონ მაკორექტირებელი ზომების მიღება.

შემოწმებები ხორციელდება პროდუქტის გაყიდვის ან გამოყენების ეტაპზე და შეიძლება წარმოებულ იქნეს დისტრიბუციის სხვადასხვა წერტილში:

- **აქტივობები:** ორგანოები ატარებენ შესაბამის შემოწმებებს ონლაინ და მატერიალურ პროდუქტებზე, რისკზე დაფუძნებული მიდგომით, მაღალი რისკის ადგილებში რესურსების კონცენტრირებისთვის. შემოწმებები შეიძლება მოიცავდეს ონლაინ ინსპექციებს, ობიექტებში ვიზიტებს, ინფორმაციის მოთხოვნას, ნიმუშების აღებას ტესტირებისთვის.
- **დოკუმენტაცია:** ორგანოებს შეუძლიათ მოითხოვონ ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაცია (დაუყოვნებლივ) და ტექნიკური დოკუმენტაცია (გონივრულ ვადაში დასაბუთებული მოთხოვნით) მწარმოებლისგან, ავტორიზებული წარმომადგენლისგან, იმპორტიორისგან ან სერვისის მიმწოდებლისგან. უარი ამ დოკუმენტაციის წარდგენაზე ითვლება დარღვევად.
- **ზედამხედველობის ზომები:** თუ პროდუქტი არის არასათანადო ან წარმოადგენს რისკს, ბაზრის ზედამხედველობის ორგანოებმა უნდა:
 1. მოითხოვონ შესაბამისი ქმედება (დარღვევის გამოსწორება, რისკის აღმოფხვრა, ბაზრიდან ამოღება, გაწვევა).
 2. თუ ოპერატორი არ იმოქმედებს, ორგანოები იღებენ ზომებს პროდუქტის აკრძალვის, შეზღუდვის ან ბაზრიდან ამოღების მიზნით.
 3. კომისიასა და სხვა სახელმწიფოებს აცნობებენ შედეგებს RAPEX-ის (სერიოზული რისკი) ან ICSMS-ის (არასერიოზული რისკი) მეშვეობით.
- **დარღვევის ტიპები:** შეიძლება იყოს არსებითი (მაგ., ძირითადი მოთხოვნების შეუსაბამობა, რომელიც საფრთხეს ქმნის) ან ფორმალური (მაგ., CE ნიშანდების არასწორი დატანა, დოკუმენტაციის არქონა).

მესამე ქვეყნებში წარმოებული პროდუქციის კონტროლი

იმპორტის ეტაპზე კონტროლი მნიშვნელოვანია შეუსაბამო ან საშიში პროდუქციის შეტანის თავიდან ასაცილებლად.

- **სასაზღვრო კონტროლის ორგანოების როლი:** პირველად კონტროლს ძირითადად საბაჟო ორგანოები ახორციელებენ, ხოლო საეჭვო შემთხვევისას, მიმართავენ ზედამხედველობის ორგანოებს.
- **საზღვრის კონტროლის პრინციპები:** ეფუძნება რისკის ანალიზს (ევროკავშირის საბაჟო კოდექსი და (EU) 2019/1020 რეგულაცია). კონტროლი შეიძლება მოიცავდეს დოკუმენტურ, ფიზიკურ და ლაბორატორიულ შემოწმებებს. საბაჟო რეჟიმში გაშვება არ წარმოადგენს შესაბამისობის მტკიცებულებას.

- პროცედურები:
 - **შეჩერება:** თუ სასაზღვრო კონტროლის ორგანოებს ეჭვი აქვთ, რომ პროდუქტი არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს ან წარმოადგენს მაღალ რისკს, ისინი ვალდებული არიან შეაჩერონ მისი თავისუფალი მიმოქცევის პროცესი და აცნობონ შესაბამის ბაზრის ზედამხედველობის ორგანოს. ბაზრის ზედამხედველობის ორგანოებსაც შეუძლიათ მოითხოვონ ასეთი შეჩერებები.
 - **ბაზრის ზედამხედველობის ორგანოს გადაწყვეტილება:** აღნიშნულ ორგანოებს აქვთ ოთხი სამუშაო დღე, რათა რეაგირება მოახდინონ შეჩერების შესახებ შეტყობინებაზე; წინააღმდეგ შემთხვევაში, პროდუქტი შეიძლება მიმოქცევაში გავიდეს (თუ სხვა ფორმალობები შესრულებულია). მათ შეუძლიათ მოითხოვონ შეჩერების გაგრძელება, თუ შესაბამისობის საბოლოო გადაწყვეტილება იგვიანებს.
 - **სასაზღვრო ორგანოს შემდგომი მოქმედება:** თუ პროდუქტი შეესაბამება მოთხოვნებს, ის გათავისუფლდება. თუ პროდუქტი არ შეესაბამება მოთხოვნებს ან წარმოადგენს რისკს, სასაზღვრო ორგანოებს ევალებათ არ დაუშვან მისი თავისუფალი მიმოქცევა და რეგისტრირება მოახდინონ საბაჟო სისტემებში და თანდართული დოკუმენტაციაში. პროდუქტი, რომელიც არ შეესაბამება მოთხოვნებს და წარმოადგენს რისკს, შეიძლება განადგურდეს დეკლარანტის ხარჯზე.

წევრ სახელმწიფოებსა და ევროკომისიას შორის თანამშრომლობა

ეფექტიანი ზედამხედველობა მოითხოვს ერთიან და კოორდინირებულ მოქმედებებს მთელ ევროკავშირში.

- **ევროკავშირის მასშტაბით:** ერთ სახელმწიფოში აღმოჩენილი დარღვევა აღიარებულია მთელ კავშირში. ოპერატორებმა უნდა მიიღონ ევროკავშირის მასშტაბის მაკორექტირებელი ზომები.
- **საგარანტიო მუხლი:** განსაზღვრავს პროცედურას სავალდებულო შეზღუდვის ზომებისთვის, რომლის შესახებაც სახელმწიფოები აცნობებენ კომისიას და სხვა წევრებს.
- **ურთიერთდახმარება და ადმინისტრაციული თანამშრომლობა (ADCs):** (EU) 2019/1020 რეგულაცია განსაზღვრავს ორმხრივ ურთიერთდახმარებას (ინფორმაციის ან აღსრულების ზომების მოთხოვნა სხვა წევრი სახელმწიფოების ორგანოებისგან) და მრავალმხრივი სექტორული ადმინისტრაციული თანამშრომლობის ჯგუფებს (ADCs).
- **ევროკავშირის პროდუქტის შესაბამისობის ქსელი:** (EU) 2019/1020 რეგულაცია ქმნის ქსელს, რომელიც ხელს უწყობს სექტორებს შორის თანამშრომლობას, პრიორიტეტების განსაზღვრასა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას ბაზრის ზედამხედველობაში.
- **სწრაფი შეტყობინებების სისტემა (RAPEX):** ჰორიზონტალური სისტემა არასასურსათო პროდუქტებისგან (მომხმარებლისა და პროფესიული) მაღალი რისკის შესახებ ინფორმაციის სწრაფი გაცვლისთვის. წევრი სახელმწიფოები აცნობებენ კომისიას საშიში პროდუქტების წინააღმდეგ მიღებული ზომების შესახებ, და კომისია ავრცელებს ამ გაფრთხილებებს.
- **ICSMS (ინფორმაციისა და კომუნიკაციის სისტემა ბაზრის ზედამხედველობისთვის):** ტექნოლოგიური ინსტრუმენტი, რომელიც წარმოადგენს (EU) 2019/1020 და 2019/515 რეგულაციების ციფრულ საფუძველს. იგი უზრუნველყოფს ინფორმაციის სწრაფ და ეფექტურ გაცვლას (პროდუქტის სტატუსი, ტესტირების შედეგები, ეკონომიკური ოპერატორის ინფორმაცია, რისკები, ზომები) ბაზრის ზედამხედველობის ორგანოთა შორის, ხელს უწყობს თანამშრომლობას, აფერხებს დუბლირებულ შემოწმებებს და მხარს უჭერს ევროკავშირის მასშტაბით ბაზრის ღონისძიებებს. ICSMS-ს აქვს როგორც შიდა მოხმარების [ბაზრის ზედამხედველობაში ჩართული ორგანოებისათვის], ისე საჯაროდ ინტერნეტ სივცეში ხელმისაწვდომი სექციები.

პროდუქტის თავისუფალი გადაადგილება

ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობის მიზანია უზრუნველყოს დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისი პროდუქტის თავისუფალი გადაადგილება ერთიან ბაზარზე. წევრ სახელმწიფოთა უფლებამოსილება არ უნდა მოიცავდეს ისეთი პროდუქტის ხელმისაწვდომობის აკრძალვას ან შეზღუდვას, რომელიც აკმაყოფილებს ჰარმონიზებულ კანონმდებლობაში გათვალისწინებულ ასპექტებს. თუმცა, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება შეინარჩუნონ ან მიიღონ დამატებითი ეროვნულ დონეზე მოქმედი ნორმები პროდუქტის გამოყენებაზე (მაგალითად, მუშაკის დაცვა ან გარემოს დაცვის საკითხები) იმ პირობით, რომ ეს არ მოითხოვს პროდუქტის შეცვლას ან არ ახდენს ბაზარზე მის ხელმისაწვდომობის პირობებზე გავლენას. თავისუფალი მიმოქცევა შეიძლება შეიზღუდოს, თუ პროდუქტი არ შეესაბამება მოთხოვნებს ან, თუნდაც დოკუმენტალურად შესაბამისი იყოს, მაგრამ ფაქტიურად წარმოადგენს რისკს.

პროდუქტებთან დაკავშირებული ევროკავშირის კანონმდებლობის საერთაშორისო ასპექტები⁹

ევროკავშირი აქტიურად უწყობს ხელს რეგულირებული პროდუქტის საერთაშორისო ვაჭრობას, მესამე ქვეყნებთან მიდგომების თავსებადობის, შეთანხმებული რეგულაციებისა და გამჭვირვალე წესების ხელშეწყობით. ძირითადი ინსტრუმენტები მოიცავს:

სამრეწველო პროდუქტების შესაბამისობის შეფასებისა და აღიარების შესახებ შეთანხმებები (ACAAs)

ACAAs არის შეთანხმებები ევროკავშირსა და მისი მეზობელ ქვეყნებს შორის, რომლებიც მიზნად ისახავს ვაჭრობის ხელშეწყობას ტექნიკური რეგულირების, სტანდარტიზაციის, შესაბამისობის შეფასებისა და ბაზრის ზედამხედველობის სფეროებში ექვივალენტობის აღიარების გზით. ისინი მოითხოვენ, რომ პარტნიორი ქვეყანა სრულად შეესაბამებოდეს თავის სამართლებრივ ჩარჩოს, ევროკავშირის კანონმდებლობასა და სტანდარტებს, გააუმჯობესოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა (სტანდარტიზაცია, აკრედიტაცია, შესაბამისობის შეფასება, მეტროლოგია, ბაზრის ზედამხედველობა) ევროკავშირის მოდელის მიხედვით. შედეგად, ევროკავშირში შესაბამისად დამოწმებული პროდუქტია დამატებითი დამტკიცების გარეშე განთავსდება პარტნიორ ქვეყნის ბაზარზე და პირიქით.

ურთიერთაღიარების შეთანხმებები (MRA-ები)

ძირითადი მახასიათებლები	MRA-ები დადებულია იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ვაჭრობას ევროკავშირსა და მესამე ქვეყნებს შორის, სადაც შესაბამისობის შეფასების შედეგები მიღებულია ორმხრივად.
ევროკავშირი-შვეიცარია MRA	მოიცავს ოც პროდუქტის სექტორს (ე.წ. „გაძლიერებული MRA“). შვეიცარიის შესაბამისობის შეფასების ორგანოების მიერ გაცემული სერტიფიკატები ევროკავშირის ეკვივალენტურად ითვლება.
CETA-ს ოქმი (კანადა)	ცვლის ძველ MRA-ს. ითვალისწინებს შესაბამისობის შეფასების ორგანოების აკრედიტაციის შესაძლებლობას მათივე ეროვნული აკრედიტაციის ორგანოს მიერ.

8 დეტალური ინფორმაცია იხილეთ დოკუმენტის - 'ლურჯი სახელმძღვანელო' - მერვე თავში

9 დეტალური ინფორმაცია იხილეთ დოკუმენტის - 'ლურჯი სახელმძღვანელო' - მეცხრე თავში

MRA-ები არის შეთანხმებები მესამე ქვეყნებთან (რომლებიც ტექნიკური განვითარების შედარებით ერთ დონეზე იმყოფებიან და აქვთ შესაბამისობის შეფასების თავსებადი მიდგომები), რეგულირებული პროდუქციის შესაბამისობის შეფასების ორმხრივი აღიარების შესახებ.

- **ძირითადი მახასიათებელი:** თითოეული მხარე იღებს პარტნიორ ქვეყანაში გაცემულ ანგარიშებს, სერტიფიკატებსა და ნიშნებს, რომლებიც მისი კანონმდებლობის შესაბამისად გაცემულია შეთანხმებით განსაზღვრული ორგანოების მიერ. აღნიშნული აუქმებს დუბლირებულ ინსპექტირებასა და სერტიფიცირებას.
- **სფეროები:** MRA-ები ვრცელდება კონკრეტული პროდუქტის კატეგორიებსა ან სექტორებზე, რეგულირებულ სფეროში და მოიცავს ყველა სამრეწველო პროდუქციას, რომელიც საჭიროებს მესამე მხარის მიერ შეფასებას. ისინი მოიცავენ ჩარჩო-შეთანხმებას და სექტორულ დანართებს.
- **მაგალითები:** ამჟამად ევროკავშირს MRA-ები აქვს ავსტრალიასთან, ახალ ზელანდიასთან, შვედეთს შტატებთან, იაპონიასთან და შვეიცარიასთან. ევროკავშირ-შვეიცარიის MRA არის „გაფართოებული MRA“, რომელიც ეფუძნება კანონმდებლობის ექვივალენტურობას. ეს ნიშნავს, რომ ევროკავშირის შესაბამისობის ორგანოებს შეუძლიათ გასცენ სერტიფიკატები, რომლებიც ექვივალენტურია შვეიცარიულთან, და პირიქით, რადგან შვეიცარიამ საკუთარი კანონმდებლობა შეუსაბამა ევროკავშირის კანონმდებლობას.
- **CETA პროტოკოლი:** ყოვლისმომცველი ეკონომიკური და სავაჭრო შეთანხმება (CETA) კანადასთან მოიცავს პროტოკოლს შესაბამისობის შეფასების ორმხრივი აღიარების შესახებ. ის ამარტივებს წინა MRA-ს, რადგან ეყრდნობა აკრედიტაციის ორგანოებისა და NAB-ებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას. შედეგად, CAB-ებს შეუძლიათ აკრედიტაცია მიიღონ საკუთარი ეროვნული აკრედიტაციის ორგანოსგან, რათა სერტიფიცირება განახორციელონ მეორე მხარის მოთხოვნების შესაბამისად.

ვაჭრობისა და თანამშრომლობის შეთანხმება გაერთიანებულ სამეფოსთან (TCA)

TCA, რომელიც დროებით ძალაში შევიდა 2021 წლის იანვრიდან, არ წარმოადგენს ევროკავშირისა და გაერთიანებული სამეფოს შორის შესაბამისობის შეფასების ურთიერთაღიარების შეთანხმებას. იგი მხოლოდ ამყარებს მიმწოდებლის შესაბამისობის დეკლარაციის მიღებას იმ სფეროებში, სადაც გამოიყენება პირველი მხარის მიერ შესრულებული შესაბამისობის შეფასება, და აღიარებს აკრედიტაციას, როგორც CAB-ების ტექნიკური კომპეტენციის დადასტურების საშუალებას მესამე მხარის შეფასებისათვის. TCA ასევე ითვალისწინებს თანამშრომლობას ბაზრის ზედამხედველობაში, არასასურსათო პროდუქციის უსაფრთხოებასა და ინფორმაციის გაცვლაში.



ევროკავშირი
საქართველოსთვის



supported by
giz Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH



Delivering Progress

